რეგისტრირებულია
თბილისის ისანი-სამგორის
რაიონული სასამართლოს მიერ

დადგენილება № 7/4-1132

"26" [illegible] 1999წ.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

" მნათობი "ს

წესდება

თბილისი

1999

## I. ᲖᲝᲒᲐᲓᲘ ᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲔᲑᲘ

I.I. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "ᲛᲜᲐᲗᲝᲑᲘ" /შემდგომში "საზოგადოება"/, არის კერძო პირების მიერ შექმნილი საზოგადოება და წარმოადგენს დამოუკიდებელ სამეურნეო ერთეულს.

I.2. იგი წარმოადგენს "ᲗᲔᲚᲐᲡᲘ"-ს სახაზინო სარემონტო-სამშენებლო საწარმოს სამართალმემკვიდრეს, რომელიც რეგისტრირებულია თბილისის საბურთალოს რაიონის რაიონის სასამართლოს მიერ I996 წლის 4 დეკემბრის № 7$^{ბ}$/7-52 დადგენილებით.

I.3. საზოგადოების სამეურნეო და საფინანსო საქმიანობის საფუძვლები, აგრეთვე მისი სამართლებრივი მდგომარეობა განისაზღვრება საქართველოს კანონით "მეწარმეთა შესახებ" და ამ წესდებით.

I.4. საზოგადოება არის იურიდიული პირი, იგი საქმიან ურთიერთობებში გამოდის პარტნიორის პირადი ხელმოწერის იმ ნიმუშით, რომელიც სასა - მართლოშია დატოვებული და დამოწმებულია სანოტარო წესით. საზოგადო - ების პასუხისმგებლობა საზოგადოების კრედიტორების წინაშე შემოიფარგ- ლება მთელი თავისი ქონებით, ხოლო პარტნიორის პასუხისმგებლობა საწეს- დებო კაპიტალში მისი წილის ოდენობით.

I.5. საზოგადოებას მინიჭებული აქვს სახელი "ᲛᲜᲐᲗᲝᲑᲘ", მისი იური- დიული მისამართია: თბილისი, სადგური დიდი № 5I.

## 2. ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲒᲐᲜᲘ

2.I. საზოგადოების საქმიანობის საგანს წარმოადგენს:

- თბილისის "ᲗᲔᲚᲐᲡᲘ"-ს ელექტრო ქსელის რეკონსტრუქცია-გაფართოება და კაპიტალური შეკეთება.
- "ᲗᲔᲚᲐᲡᲘᲡ" ქვესადგურების, სატრანსფორმატორო ბუდეების მშენებლობა და კაპიტალური შეკეთება.
- გარეშე ორგანიზაციების სხვადასხვა სარემონტო-სამშენებლო სამუშაოები
- ქვესადგურებში და სატრანსფორმატორო ბუდეებში მოწყობილობების მონტაჟი.
- საწარმოოს ბალანსზე მყოფი ობიექტების მანქანა-მექანიზმების ექს- პლოატაცია და შეკეთება.
- ელექტრო სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების დაპროექტება.
- შრომის მოწინავე ტექნოლოგიური პროცესების მეთოდების დამუშავება და დანერგვა.

- სავაჭრო საშუამავლო ოპერაციები საკომისიო საწყისებზე საექსპორტო-საიმპორტო გარიგება, მათ შორის ბარტერული საბროკერო-დილერული საქმიანობა.
- შემაერთებელი ტყვის ქუროების დამზადება და რეალიზაცია ძალოვანი ტრანსფორმატორების შეკეთება. მონტაჟი და რეალიზაცია საჰაერო ელ.გადამცემი ხაზის საყრდენი ანძების დამზადება-რეალიზაცია.
- "ელასი"-ს ელ.ქსელებისათვის საჭირო სხვადასხვა მოწყობილობების და კონსტრუქციების დამზადება.
- სატრანსპორტო გადაზიდვის განხორციელება, სატრანსპორტო-საექსპედიტორო მომსახურეობის გაწევა.
- ეკონომიური და კომერციული კავშირების დამყარება საზღვარგარეთის ფირმებთან და წარმოება-დაწესებულებებთან.
- მოსახლეობისათვის საყოფაცხოვრებო მომსახურეობის გაწევა.
- კომერციული მაღაზიებისათვის ქსელის შექმნა და ექსპლოატაცია.
- საცალო და საბითუმო ვაჭრობა.
- ბაზრების, აუქციონების და გამოფენა-გაყიდვების მოწყობა.
- სავალუტო ოპერაციების განხორციელება.
- სოფლის მეურნეობის პროდუქტების შესყიდვა-რეალიზაცია.
- საინფორმაციო და სარეკლამო მომსახურეობის გაწევა.
- საშუამავლო მომსახურეობის გაწევა.

საზოგადოებას წესდებით გათვალისწინებული საქმიანობის გარდა უფლება აქვს განახორციელოს საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით გათვალისწინებული ნებისმიერი სამეწარმეო საქმიანობა, ხოლო იმ საქმიანობას, რომელზეც არსებობს შეზღუდვები, განახორციელებს სათანადო ნებართვის /ლიცენზიის/ მიღების შემდეგ.

## 3. საზოგადოების საწესდებო კაპიტალი

3.I. საზოგადოების საქმიანობის უზრუნველსაყოფად იქმნება საზოგადოების საწესდებო ფონდი. საწესდებო ფონდში დამფუძნებელ პარტნიორებს შენატანი შეაქვთ ქონებრივი ობიექტის სახით, შეფასებული 2000 /ორი ათასი ლარად.

## 4. ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲤᲣᲫᲜᲔᲑᲔᲚᲘ ᲞᲐᲠᲢᲜᲘᲝᲠᲔᲑᲘ

4.I. საზოგადოების დამფუძნებლები არიან:

- ᲔᲓᲛᲝᲜᲓ ᲔᲜᲣᲥᲘᲫᲔ, დაბადებული I949წ., მცხ. თბილისში, ნუცუბიძის I-მ/რ, კორპ.I7, ბინა 6I
- ᲘᲝᲡᲔᲑ ᲪᲘᲮᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ, დაბადებული I936წ., მცხ. თბილისში, ორჯონიკიძის ქუჩა № 85
- ᲯᲐᲛᲚᲔᲗᲘ ᲡᲐᲓᲣᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ, დაბადებული I936წ., მცხ. თბილისში, ბუდაპეშტის ქუჩა №2
- ᲠᲝᲚᲐᲜᲓ ᲑᲣᲮᲐᲚᲐᲫᲔ, დაბადებული I95Iწ., მცხ. თბილისში, გლდანის მე-7 მ/რ, კორპ. I6, ბინა 2I
- ᲕᲚᲐᲓᲘᲛᲔᲠ ᲓᲒᲔᲑᲣᲐᲫᲔ, დაბადებული I949წ. მცხ. თბილისში, ვ/ფშაველას პრ. VII-კვ., I8 კორპ., ბინა 7
- ᲬᲐᲜᲐ ᲛᲐᲛᲐᲚᲐᲫᲔ, დაბადებული I949წ., მცხ. თბილისში, მე-3 მასივი 3 კორპ., ბინა 33

4.2. საწესდებო ფონდში დამფუძნებელ პარტნიორებს პაი შეაქვთ შემდეგი ოდენობით:

| | | |
|---|---|---|
| ე. ენუქიძე | - | 2I,5% |
| ი. ციხელაშვილი | - | I7 % |
| ჯ. სადუნიშვილი | - | I7 % |
| რ. ბუხალაძე | - | 8 % |
| ვ. დგებუაძე | - | 32,5% |
| წ. მამალაძე | - | 4 % |

## 5. ᲞᲐᲠᲢᲜᲘᲝᲠᲔᲑᲘᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲐᲛᲝᲕᲐᲚᲔᲝᲑᲐᲜᲘ

5.I. პარტნიორს შეუძლია წილის გასხვისება და მემკვიდრეობით გადაცემა.
5.2. თუ პარტნიორი თავდაპირველი წილის მისამატებლად შეიძენს სხვა წილს, თითოეული წილი ინარჩუნებს თავის დამოუკიდებლობას.
5.3. პარტნიორის მიერ წილის დათმობა სანოტარო წესით დამოწმებულ ხელშეკრულებას და პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებას. სანოტარო დამოწმება საევე საჭიროა შეთანხმებისათვის, რომლითაც წარმოიშობა პარტნიორის ვალდებულება წილის გასხვისების შესახებ.
5.4. წილის ნაწილობრივი გასხვისება შესაძლებელია მხოლოდ საზოგადოების ნებართვით; ნებართვაში უნდა აღინიშნოს შემძენის პიროვნება და

თანხა, რომელიც შეესაბამება დაუნაწევრებელი შესატანის გაყოფის შედეგად წარმოშობილ თითოეულ წილს.
5№5. დაუშვებელია საკუთარი წილის შეძენა.
5.6. პარტნიორები აკონტროლებენ საზოგადოების ხელმძღვანელობას.

## 6. პარტნიორთა კრება

6.I. პარტნიორთა კრება ტარდება სულ ცოტა წელიწადში ერთხელ მაინც და იღებს გადაწყვეტილებას წლიური შედეგების შესახებ. კრების მოწვევა არ არის აუცილებელი როცა ყველა პარტნიორი წერილობით დაეთანხმება განსახილველ საკითხს.
6.2. საზოგადოების წესდების შეცვლა შეიძლება მხოლოდ პარტნიორთა გადაწყვეტილებით. ასეც გადაწყვეტილებას სჭირდება კენჭისყრაში მონაწილეთა ხმების უბრალო უმრავლესობა და სანოტარო წესით დამოწმება.
6.3. კრება იღებს გადაწყვეტილებებს ყველა საკითხზე.
6.4. ყველა გადაწყვეტილება, რომელთა მნიშვნელობა სცილდება საზოგადოების ჩვეულებრივ საქმიანობას- მოითხოვს ყველა პარტნიორის მონაწილეობით ჩატარებული კრების გადაწყვეტილებას. პარტნიორთა კრება საზოგადოების ხელმძღვანელობას აძლევს ცალკეულ დავალებებს ამ ხელმძღვანელობის კომპეტენციის ფარგლებში.
6.5. დირექტორს შეუძლია მოიწვიოს საზოგადოების კრება ყველა პარტნიორისათვის ერთი კვირით ადრე გაგზავნილ დაზღვეული წერილით, რომელიც უნდა შეიცავდეს დღის წესრიგის პროექტს. წერილის მიღებიდან სამი დღის ვადაში პარტნიორს შეუძლია ცვლილებები შეიტანოს დღის წესრიგში. გადაწყვეტილებაუნარიანია კრება, თუ მასში მონაწილეობენ ის პარტნიორები, რომლებსაც აქვთ ხმების უმრავლესობა, თუ კრება გადაწყვეტილებაუნარიანი არ არის, მაშინ კრების მომწვევს შეუძლია იმავე დღის წესრიგით, კვლავ მოიწვიოს კრება. მეორე კრება გადაწყვეტილებაუნარიანია მაშინაც, თუ არ გამოცხადდება პარტნიორთა უმრავლესობა.
6.6. გადაწყვეტილება მიიღება კრების მონაწილეთა ხმების უმრავლესობით, თუ გადაწყვეტილების შინაარსი არ ქმნის არათანაბარ მდგომარეობას რომელიმე პარტნიორისათვის, ანდა თუ არ ხელყოფს პარტნიორის არსებით ინტერესებს. კრების მოწვევა არ არის აუცილებელი, როცა ყველა პარტნიორი წერილობით დაეთანხმება განხილულ საკითხს.
6.7. საზოგადოების კრების მიერ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ დგება ოქმი, რომელზეც აუცილებელია თავჯდომარის ხელმოწერა.

## 7. საზოგადოების ხელმძღვანელობა

7.I. საზოგადოების ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლება ეკისრება დირექტორს.
7.2. დირექტორს არა აქვს უფლება პარტნიორების თანხმობის გარეშე მისდიოს იმავე საქმიანობას, რასაც მისდევს საზოგადოება ან მიიღოს მონაწილეობა მსგავსი სხვა ტიპის საზოგადოებაში.
7.3. თუ ანაზღაურებისათვის ვალდებული პირი გადახდისუუნაროა ანდა გაკოტრების თავიდან აცილების ან საბანკროტო წარმოების შეწყვეტის მიზნით მორიგდება თავის კრედიტორებს.
7.4. თუ დირექტორი არ შეასრულებს თავის მოვალეობას წარმოშობილი ზარალისათვის პარტნიორის წინაშე სოლიდარულად აგებს პასუხს. საზოგადოების ხელმძღვანელებმა უნდა დაამტკიცონ, რომ მას არ დაურღვევია თავისი მოვალეობა.

## 8. წლიური შედეგები

8.I. პარტნიორებს აქვთ წლიური გაუნაწილებელი მოგების მიღების უფლება ნაშთის ჩათვლით და ზარალის გამოკლებით, თუ კანონით ან საზოგადოების წესდებით ანდა პარტნიორთა გადაწყვეტილებით დაშვებულია ამ თანხის განაწილება პარტნიორებს შორის.
8.2. შედეგების გამოყენების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას პარტნიორებს შეუძლიათ თანხა მოგებიდან ანარიცხებში ჩარიცხონ ან წარმოადგინონ როგორც მოგება, თუ საზოგადოების წესდებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.
8.3. წლიური წმინდა მოგების განაწილება ხდება წილის პროპორციულად, არ შეიძლება მიეცეთ პარტნიორებს სხვა საზღაური, გარდა საზოგადოების მოგებისა პარტნიორი- რომელმაც ეს საზღაური მიიღო, ვალდებულია უკან დააბრუნოს იგი ან ფულადი სახით აანაზღაუროს წარმოშობილი ქონებრივი ზარალი. დირექტორი ამ პრინციპის დარღვევისათვის საზოგადოების წინაშე პასუხს აგებენ სოლიდარულად, საერთო კრებას არ შეუძლია უარი თქვას ამ უფლების გამოყენებაზე.

## 9. ხანგრძლივობა, ლიკვიდაცია, გარდაქმნა, შერწყმა, ნაწური გაყოფა

9.I. საზოგადოების დაშლა დაუშვებელია ერთი პარტნიორის მიერ; ლიკვი-

დაცია მოხდება თუ ამას გადაწყვეტენ 50%-ზე მეტი ხმის უფლების მქონე საწესდებო კაპიტალის მფლობელები.

9.2. თუ საზოგადოება გადახდისუუნარო გახდა, დირექტორმა ბრალეული გაჭიანურების გარეშე, მაგრამ არაუგვიანეს სამი კვირისა გადახდისუუნარობის დღიდან- უნდა განაცხადოს საბანკო საქმის აღძვრის შესახებ. ეს წესი მოქმედებს მაშინაც, როცა ქონება უკვე ვეღარ ფარავს ვალებს.

9.3. ლიკვიდაციას აწარმოებს დირექტორი ერთპიროვნული ხელმოწერით. ლიკვიდირებული საზოგადოების ქონება ვალების დაფარვის შემდეგ ნაწილდება პარტნიორებს შორის მათ მიერ გაღებული თანხებისა და მათ წილებთან დაკავშირებული უფლებების შესაბამისად. განაწილება შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ერთი წლის გასვლის შემდეგ. ეს ვადა იანგარიშება იმ დღიდან, როცა მოვალეები მესამედ იქნენ პუბლიკაციის მეშვეობით გამოძახებულნი.

9.4. გარდაქმნისათვის აუცილებელია ხმების საერთო რაოდენობის უბრალო უმრავლესობა.

9.5. საზოგადოებას შეუძლია შეერწყას სხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმოს. შერწყმის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ საჭიროა ხმების საერთო რაოდენობის უბრალო უმრავლესობა.

## IO. ხანგრძლივობა, გასაჩივრების ვადები

IO.I. პრეტენზიების ხანდაზმულობის ვადაა ხუთი წელი მათი წარმოშობიდან, საზოგადოების ლიკვიდაციის ან პარტნიორის გასვლიდან.

IO.2. დაუშვებელია პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებათა გასაჩივრება კრების ოქმის შედგენიდან ორი თვის გასვლის შემდეგ.

ე.ენუქიძე

ი.ციხელაშვილი

ჯ.სალუნიშვილი

რ.ბუხალაძე

ვ.ღვიბუაძე

ჭ.მამალაძე

ნოტარიუსი